სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა
LEPL - EDUCATION MANAGEMENT INFORMATION SYSTEM

თბილისი, 0160, ფანჯიკიძის ქ. №1ა www.emis.ge ელ.ფოსტა: info@emis.ge ტელ.: +995 322 200220
№1a Panjikidze st, 0160, Tbilisi, Georgia www.emis.ge E-mail: info@emis.ge Phone: +995 322 200220

MES 1 22 0001509197

ელექტრონულად ეგზავნება
ელექტრონულად

28/11/2022

მოქალაქე ანუკი გაბაძეს
ტელეფონის ნომერი - 577425760
პირადი ნომერი - №54001056718
ელექტრონული ფოსტა: foi+request-1149-a8b04db8@askgov.ge

ქალბატონო ანუკი,

სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემამ განიხილა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2022 წლის 27 ოქტომბრის №1366013 კორესპონდენცია, რომლითაც წარმოდგენილია თქვენი განცხადება (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში რეგისრაციის თარიღი 2022 წლის 27 ოქტომბერი №1362685) და ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში, დანართად გიგზავნით საქართველოში პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა სტატისტიკას 2013-2022 წლებისთვის.

პროფესიული განათლების დაფინანსებასთან დაკავშირებით, გაცნობებთ, რომ "პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის სახელმწიფოს მიერ დასაფინანსებელი სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის N244 დადგენილების თანახმად, პროფესიული განათლების დაფინანსების სახეებია ვაუჩერული/მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელი მოდულის ვაუჩერული დაფინანსება, პროგრამული დაფინანსება და მიზნობრივი პროგრამული დაფინანსება. ამავე, დადგენილების მე-12 მუხლის საფუძველზე, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა უზურნველყოფს მხოლოდ, ვაუჩერული/მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელი მოდულის ვაუჩერული დაფინანსების ფარგლებში გადასარიცხი თანხის ოდენობის გაანგარიშებას პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ფორმით წარდგენას. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების თანახმად, თანხის გადარიცხვის მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომლის საფუძველზეც თანხის გადარიცხვას სამინისტრო ახორციელებს კვარტალურად,

შესაბამისი დაწესებულების საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით. სამინისტრო უზურნველყოფს ასევე, მიზნობრივი და პროგრამული დაფინანსების გაცემას.

დანართი 1 (Excel) ფაილი.

პატივისცემით,

სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა
სისტემის უფროსი
ბერიძე დიმიტრი